ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 59
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. საჩხერე 7 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, ააიპ. "ზურმუხტის" დირექტორის სახით ნუგზარი ბარბაქაძე (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, ფ/პ ბერიკა დეკანოიძე (ს/კ 38001047181) (შემდგომში „მიმწოდებელი") , ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

„სახელმწიფოს შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვა არ იწვევს ინტერესთა კომფლიქტს.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება

1.1. ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც მათ მინიჭებული აქვთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია ააიპ „ზურმუხტის" ბიუჯეტის სახსრებით საქონლის შესყიდვა გამარტივებული შესყიდვით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. შესყიდვის ობიექტი

3.1 შესყიდვის ობიექტია 45442100 კოდით გათვალისწინებული მომსახურება, კერძოდ შეასრულა სამღებრო სამუშაოები.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 300(სამასი) ლარს. ხელზე ასაღები თანხა შეადგენს 240 (ორასორმოცი) ლარს და საშემოსავლო თანხა შეადგენს 60 (სამოცი) ლარს.

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც შესრულებული სამუშაოს ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. ხარისხი და გარანტია

5.1 სამუშაოს შესრულების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მიერ განსაზღრულ მოთხოვნებს.

6. მხარეების უფლებები და მოვალეობები

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

6.1.1 პერიოდულად შეამოწმოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

6.1.2 განახორციელოს ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დაცვაზე.

6.2 მიმწოდებელს უფლება აქვს:

6.2.1 მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

6.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

შემსყიდველი---------- მიმწოდებელი ----------

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, მათ შორის შერულებული სამუშაოს ხარისხის პერიოდული კონტროლი.

7.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი აცნობებს მიმწოდებელს მიზეზების მითითებით.

7.3 გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

8.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ერთდროულად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 2016 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით .

8.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. საჩხერე.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა–ლარი; ბ) ანგარიშსწორების ფორმა–უნაღდო; წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს არასამუშაო დღეს, მაშინ ამ დღის ნაცვლად ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომლის გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-13 მუხლის შესაბამისად.

11. მხარეების პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

11.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

11.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

შემსყიდველი---------- მიმწოდებელი ----------

11.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

11.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.15 პროცენტის ოდენობით

11.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.82

11.7 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1.5 პროცენტს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენელის ხელმოწერით.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს შორის წარმოქმნილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რაც უნდა გაფორმდეს წერილობით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 დღით ადრე.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

16. ფორს–მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომასა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

შემსყიდველი---------- მიმწოდებელი----------

17. სხვა დებულებები

17.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო მეორე ეგზემპლარი მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

18.მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

ააიპ „ზურმუხტი“
მისამართი: 4000 ქ. საჩხერე,
თავისუფლების ქ. №6
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
კოდი : TRESGE22
ს/ნ - 439394585
ტელეფონი : 5(99) 914312

მიმწოდებელი:

ფ/პ ბერიკა დეკანოიძე
მისამართი: ქ. საჩხერე

პ/ნ 38001047181
საბანკო რეკვიზიტები:

სს „ლიბერთი ბანკი „
საჩხერის ფილიალი
კოდი : LBRTGE22
ა/ნ GE79LB0711145001744001

ნუგზარი ბარბაქაძე
ააიპ „ ზურმუხტის“
დირექტორი.

ბერიკა დეკანოიძე
ფიზიკური პირი